საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაჰილი

ლაჰილი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის ცენტრ. ნაწილში, მდ. ლაჰილჭალის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 4000 მ. აგებულია ზედაპალეოზოურ-ტრიასული კვარციტებით, ფიქლებითა და მარმარილოს ლინზებით. ახასიათებს გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. საცალფეხო ბილიკით აკავშირებს მდ. ცხენისწყლისა (ლენტეხის მუნიციპ.) და მდ. ენგურის (მესტიის მუნიციპ.) ხეობებს.